

## ბრძანება

30 აგვისტო 2017 წ.

თბილისი

№ 520/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივლისის №668 ბრძანების გათვალისწინებით,

### ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ფატიმა გასიმოვა - აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე
2. სოფია საბაშვილი - რუსეთის ფედერაციის მოქალაქე
3. ტაისია გოგოლაური - რუსეთის ფედერაციის მოქალაქე
4. ქეთევან ტალახაძე - რუსეთის ფედერაციის მოქალაქე

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. მაერა ადეგ - ინდოეთის მოქალაქე

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 დეკემბრამდე.

4. ამ ბრძანების მეორე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 ნოემბრამდე.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მ/შ ქ.კავთიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მ/შ ქ.კავთიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მ/შ ნ.აფციაურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიაშიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი